სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №479

17 ივლისი 2012 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის კოტე რატიანის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-24-03).

მეორეს მხრივ, შ.პ.ს „კომუნპროექტი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის მერი ბიბილეიშვილის სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №15, ტელ: 0 (431) 24 27 78, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, (საკონკურსო განაცხადი №582. 11.07.2012 წ.) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №582) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (24 ობიექტი).

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 16000 (თექვსმეტიათასი) ლარს დღგ–ს გარეშე.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 კონტროლი გულისხმობს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

4.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად.

5.2 ,,მიმწოდებელმა" წარმოდგენილ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა დაურთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.
5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში.
6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.
6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;
7.2 ,,მიმწოდებლი"–ს წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,
ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი სასაქონლო ზედნადები,
გ) შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.
7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 ,,შემსყიდველი"–ს მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს ,,კონკურსანტი"–ს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია;
10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;
10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
10.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,
10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და

დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 5300 (ხუთიათასსამასი) ლარს.
11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.
11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს.
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 23 ივლისის ჩათვლით.
15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ ქუთაისის მერია	შ.პ.ს „კომუნპროექტი“
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3	მის: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №15
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს ,,საქართველოს ბანკი"
ქუთაისი ფილიალი	
ბ/კოდი: 220101605	ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა №33033303	ა/ა GE89BG0000000346321800
ს/კოდი: 212721170	ს/კ 212672053
ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	შ.პ.ს „კომუნპროექტი“ დირექტორი
კოტე რატიანი	მერი ბიბილეიშვილი

ტექნიკური დოკუმენტაცია

ქალაქ ქუთაისში სანიღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისთვის საწირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

პროექტის აღწერილობა

1. უნდა გაკეთდეს ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	სათრიენტაციო სიგრძე (მ)	ღირებულება დღგ-ს გარეშე
1	ჭიათურის ქუჩაზე ახალი ნიაღვარსადენის მოწყობა (მდ. რიონში ჩაშვება)	150	490
2	კიბულის ქუჩის პირველ შესახვევი, არსებული დახურული გაუქმებული ნიაღვარსადენის მაგიერ ახალი ღვარსადენის მოწყობა	100	328
3	ჭავჭავაძის გამზირის მინისტარის მოედნიდან ნინოშვილის ქუჩისაკენ ბორდიურის გასწვრივ ორივე მხარის წყალსაწრეტის არხის მოწყობა 15X10	700	2290
4	ჭავაჭავაძის გამზირისა და ნინოშვილის ქუჩის გადაკვეათაზე არსებული ნიაღვარმიმღები წის გაფართოება და მეორე მხარეს ახლის მოწყობა	15	49
5	ნარსიას ქუჩა – თავისუფლების ქუჩამდე ახალი ნიაღვარსადენის აღდგენა მოწყობა	200	656
6	გელათის ქუჩის № 102-128 და № 140-162 სახლებს შორის არსებული ღია ღვარსადენის კედლებისა და ძირის აღდგენა	400	1312
7	სოლომონ II-ის ქუჩაზე № 1-19, № 27-37 № 32-58, სახლებს შორის არსებული ღია ღვარსადენების გაწმენდა – შეკეთება.	450	1476
8	წერეთლის ქუჩაზე ბენზინ გასამართი სადგურის წინ არსებული ნიაღვარსადენის გადართვა ღვარსადენის ძველ ქსელებში	35	115
9	გელათის ქუჩის № 68-82 სახლებს შორის არსებული დახურული ნიაღვარსადების აღდგენა გაწმენდა	100	328
10	ასათიანისა და სოხუმის ქუჩის გადაკვეთაზე ძველი ნიღავრმიმღები (დაკარგული) ჭის მაგიერ ახლის მოწყობა და ქსელში ჩართვა	1 ცხაური	7
11	იგივე ასათიანის ქუჩისა და ქანთარიას ქუჩის გადაკვეთაზე	1 ცხაური	7
12	ჯავახიშვილის ქუჩის უკან გამავალი ღია არხის გაწმენდა პეტრიწის (ბუაჩიძის)	810	2670

	ქუჩის მეორე შესახვევიდან ჭონქაძის ქუჩამდე		
13	ლესელიძის ქუჩის მეხუთე შესახვევის ღია ნიაღვარსადენის მოწესრიგება რეკონსტრუქცია	250	825
14	ლესელიძის ქუჩაზე № 135 ყოფილი 6-ე საგზაო სამმართველოს ღობიდან გუმათისაკენ არსებული არხისა და მილების გაწმენდა	100	330
15	ჭუმბურიძის ასათიანის შესახვევის, სოხუმის ქუჩების გადამკვეთი ნიაღვარსადენის რეკონსტრუქცია	550	1800
16	მწვანე ყვავილას ქუჩის № 23 არსებული ნიაღვარსადების გაწმენდა აღდგენა და გადახურვა	30	100
17	პეტრწისი ქუჩის № 8 სახლის ეზოდან გამომავაკი არსებული ნიაღვარსადენის ღია არხის გაწმენდა აღდგენა სხვა ეზოებშიც	50-60	180
18	არსებული დახურული ნიაღვარსადენის გაწმენდა რუსთაველის ქუჩაზე შპს „ჭადრებიდან“ კიკვიძის ქუჩამდე	100	330
19	სოლომონ პირველის ქუჩის № 109 დან ნიაღვარსადენის ღია არხის მოწყობა სოლომონ II ის ქუჩის გადაკვეთამდე	120	396
20	გაპონოვის ქუჩის დახურული ნიაღვარსადენის გაწმენდა აღდგენითი სამუშაოები	160	528
21	ყიფიანის ქუჩაზე არსებული დახურული ნიაღვცარსადენის გაწმენდა აღდგენა	30	100
22	გუმათჰესისი დასახლებაში არსებული ღია არხების დაცლისათვის დამატებითი ღია არხების მოწყობა	350	1150
23	გელათის ქუჩაზე 38 საჯარო სკოლის წინ არსებული დახურული ნიაღვარსადენის გაწმენდა აღდგენა	80	264
24	წერეთლისა და სადგურის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ნიაღვარსადენის კედლების და ძირის აღდგენა	80	264
	ჯამი		16000

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პატივისცემით

შპს „კომუნპროექტის“ დირექტორი: /მ. ბიბილეიშვილი/